ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 214

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 ივლისის №19.727.965 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. კვარტალი II, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებული 2027 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.707) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 37000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, ირაკლი ბაქრაძის (პ/ნ: 01005007890) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. №6-ში მდებარე 679 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.022.118) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე